შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება

N 22
26/08/2020

22-08-4-202008261114

მუნიციპალური პროექტების დაფინანსების მიზნით შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ წინადადების მოწონების თაობაზე

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 9 მარტის №5 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა**:

1. მოწონებულ იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსების მიზნით შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ წინადადებები თანახმად დანართი №1-სა.

2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს

3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს შუახევის მუნიციპალიტეტის მერს.

4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - ა. ხიმშიაშვილმა.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე

გიორგი დავითაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა

დანართი №1

შუახევის მუნიციპალიტეტი

მუნიციპალიტეტი/მხარჯავი დაწესებულება/საბიუჯეტო ორგანიზაცია

საპროექტო წინადადება

372 700 ლარი

№	საპროექტო დასახელება	ინფრასტრუქტურული პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე)/სხვა პროექტის ღირებულება	მ.შ. მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები	შენიშვნა
1	დაბა შუახევში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისა და სახელოვნებო სკოლის შენობის მშენებლობა	665 820	48 105	01.09.2021	პროექტი არის ორწლიანი.
2	შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა საუბნო გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია და გზებზე ბეტონის საფარის დაგება	324 595	324 595	31.12.2020	